საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „mo no l iTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

□110/14 „15“ ოქტომბერი 2014 წ.

შ.პ.ს. სასტუმრო „ძველი მეტეხი“-ს
დირექტორს ბატონ გიორგი ოქრიაშვილს.

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მეტეხის აღმართი №3-ში განთავსებულ შ.პ.ს. სასტუმრო „ძველი მეტეხი“-ს შენობის, მასში ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ, ჩვენს მიერ გაცემული იქნა რამდენიმე ტექნიკური დასკვნა (იხ. №88/14; №100/14). ამჟამად შ.პ.ს. სასტუმრო „ძველი მეტეხი“-ს დირექციამ მოგვმართა თხოვნით შეგვესწავლა და გაგვეცემულიყო ტექნიკური დასკვნა მდინარე მტკვრის გასწვრივ არსებულ ფასადზე არსებული ხის აივნების, მოაჯირების, აივნის საყრდენი დგარების, ხის დეკორაციული ელემენტების შეცვლის შესაძლებლობის მიზნით. ასევე სარდაფის სართულის ფარგლებში ფოლადის დემონტირებული ავზის ნაცვლად რიკულებიანი ღია აივნის (გვერდითი ანალოგის მიხედვით) მოწყობის შესაძლებლობის შესახებ.

საკითხების შესახებ შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ელემენტების დიდი ნაწილი დეფორმირებულია, ხანდაზმულობის გამო ლპობამიღებულია (ზოგიერთი ადგილი სახიფათოა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის). აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის (ფოტომონტაჟის სახით) მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები მიზანშეწონილია, შესაძლებელია და არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მთლიანად შენობისათვის. მით უმეტეს, რომ შენარჩუნებული იქნება შენობის არქიტექტურულ-მხატვრული იერ-სახე, აივნების მასალა. შენარჩუნდება ასევე ელემენტების ფერი.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/